განა თქვენ არ გაქვთ საკვები და სასმელი, რამდენიც გსურთ? მე ვიხილე თქვენი შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და ის ვერც კი პოულობდა უბრალო ფინიკსაც კი, რომ მუცელი აევსო

გადმოცემულია ნუ'მანისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: «განა თქვენ არ გაქვთ საკვები და სასმელი, რამდენიც გსურთ? მე ვიხილე თქვენი შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და ის ვერც კი პოულობდა უბრალო ფინიკსაც კი, რომ მუცელი აევსო».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ან-ნუ'მან იბნ ბაშირი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ახსენებს ხალხს იმ სიკეთეს, რომელშიც ისინი იმყოფებიან, და იმას, რომ მათ აქვთ საკვები და სასმელი იმდენი, რამდენიც სურთ. შემდეგ კი იგი აღნიშნავს ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მდგომარეობას, რომ იგი ვერ პოულობდა იმდენ უხარისხო ფინიკსაც კი, რომ შიმშილის დასაკმაყოფილებლად მუცელი აევსო.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/4244